

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიისა და პროფკავშირთა  
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов  
ბაგოცემის მ-8 ფელი

№ 5 (500) ოთხშაბათი, 16 იანვარი, 1952 წ. ფასი 80 კაპ.

## აქედანვე ვიბრძვით 1952 წლის გეგმების შესრულებისათვის

კოლმეურნეობის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება ჩვენს ქვეყანაში შეუწყვეტელ აღმავლობას განიცდის.

გმირულმა საბჭოთა ხალხმა, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებით შრომის ფერხულშია ჩაბმული, ახალი ენთუზიაზმითა და ენერგიით დაიწყო 1952 წელი. სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელთა მათ ახალ წარმატებებს მოუტანს სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყოველ უბანზე. ამის საიმედო საფუძვლია იმ შრომითა და ორგანიზებულმა, არამოლოდ და ძალიან ზედამეტებულმა, რომელიც სუფევს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში.

დიდი სტალინის გეგმების, რომელიც საქმის წარმატებით დაგვიკვირებს საბჭოთა გეგმების მუშაობა. საბჭოთა სისტემისათვის უცხო და მიუღებელია იგროზობის მეთოდები, ყველგან, სამეურნეო მშენებლობის, კულტურისა და მეცნიერების ყოველ დარგში მიღწეული წარმატებანი შედეგად იმ გეგმიანი საქმიანობისა, რასაც ეწვევიან საბჭოთა ადამიანები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც გეგმიანად არის დაყენებული, მოპოვებულია თვალსაჩინო შედეგები და პირიქით, იმ ორგანიზაციებში, რომლებიც გეგმიანობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, საკვალის ნაკლები იმეორ.

მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის საერთო განვითარებაში გადაწყვეტილებას ასრულებს ზუსტი გეგმიანობა და გეგმით გათვალისწინებული დავალებების ცხოვრებაში განხორციელება, თანმიმდევრულად განხორციელება.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შეუწყვეტლად იბრძვიან საქართველოს, მ. შ. (მ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის კომარტული დადგენილების განხორციელებისათვის, გასულ წელს გეგმიანი მუშაობის შედეგად გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს.

დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული მიმდინარე წელს რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წინაშე. მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმა ფიზკულტურის რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებს შეეძინა გზარდლო მოთხოვნისთვის შეყენეს.

ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებათა დროულად და მაღალარისხვად შესრულებისათვის აქედანვე უნდა გაითვალისწინოთ შეიქმნება ფართო, სისტემატური, გეგმიანი საქმიანობა.

ფიზიკური კულტურის შემდგომი მობილიზაცია მოსახლეობის უფართოეს მასებში, ახალი ძირეული კომპლექტების დაარსება და არსებულთა ორგანიზაციული განმტკიცება,

მშობ კომპლექსის ნიშნისათა და თანრიგისან სპორტსმენთა რიგების ზრდა, სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოება, ახალი საზოგადოებრივი კადრების მომზადება, სპორტსმენთა დახელოვნების დონის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა და ამაღლება, შეუწყვეტელი ბრძოლა ახალი რეკორდებისათვის... აი, რას მოითხოვს ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახელოვანი საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისათვის, მწვრთნელებისა და მასწავლებლებისათვის, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისათვის. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და საბასუნესპეგბლო ამოცანების წარმატებით განხორციელებას—ასეთია ჩვენი უპირველესი მოვალეობა.

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა იცოდნენ, რომ ამ რთული ამოცანების წარმატებით გადარჩენისათვის აქედანვეა საჭირო ენერგიული, გეგმიანი მუშაობის ფართოდ გაშლა.

გასული წლების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უშედეგულყოფენ გეგმიანობას... სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, დაუღვევობა, საქმის ზედასათვის გადადება, არაორგანიზებულმა მუშაობამ, იგროზობა — ასეთი „მეთოდებით“ იღვწოდნენ 1951 წლის სეზონში სამხრეთ ასეთის ავტონომიური ოლქის, ბოგდანოვკის, დმანისის, კასპის, ადიგენისა და სხვა რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები და შედეგად სავალალო გამოდგა: მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების მხრივ აქ ცუდი მდგომარეობა აქვთ.

უფრო შორს წაიხედნენ მარნეულის რაიონში. თავიანთი უხეირო და უპასუხისმგებლო საქმიანობის დაფარვა აქ თვალსაჩინოდ სცადეს, დაიხარჯა ძვირფასი სათბობი... ყალბი საბუთების შედგენა, მშობ კომპლექსის არარსებულ ნიშნისათა გამოგონებაში და სხვ.

ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, უფერად მუშაობის პირდაპირი შედეგია.

მიმდინარე წელს მსგავსი მაგალითები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეორდეს. პირველ რიგში, საჭიროა ყოველდღიურ საქმიანობაში მტკიცე გეგმისა და რეჟიმის გამოყენება, დროისა და ფუნქციების სწორი, რაციონალური განაწილება, თანმიმდევრული, გეგმაშეფორილი ბრძოლა 1952 წლის სახელმწიფო გეგმების პირნაირად განხორციელებისთვის. მხოლოდ ასეთი მუშაობით იქნება შესაძლებელი პარტიისა და მთავრობის მიერ დაკისრებული ამოცანების შესრულება.

საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების პირდაპირი მთავრობა ახალი გამარჯვებით უპასუხონ იმ დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას, რასაც იჩენენ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის მშობლიური ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად დიდი სტალინი.

### ახალი საქვეყნო რეკორდი

ლენინგრადი. (ჩვენი კორ.) ამას წინათ ქალაქის ერთ-ერთ საცურაო აუზში უძლიერესმა მოცურავეებმა ცადეს საკავშირო რეკორდების გაუმჯობესება. 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში შესანიშნავი წარმატება ხვდა წილად ვ. მინაშინს. მისი შედეგი — 1:12,0 — ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი.



„რსდმ ორგანიზაციის ბათუმის კომიტეტი“. მხატვარ დ. ნალბანდიანის სურათის ფრაგმენტი.

## მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში კალათბურთის უარებთან

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში გაიმართა ქ. თბილისის რაიონის მოსწავლე კალათბურთელთა ნაკრები გუნდების კლუბური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ყველა რაიონის (გარდა მოლოტოვის რაიონისა) წარმომადგენლებმა (ჭაბუკთა 2 და გოგონათა 2 გუნდი).  
სამუშაო და უფროსი ასაკის გოგონათა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ კიროვის რაიონის კოლექტივები. უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ორჯონიკიძის რაიონის გუნდმა, უფროსი ასაკის ჭაბუკებში — 26 კომისრის რაიონის ნაკრებმა.  
საერთო კლუბურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს ორჯონიკიძის რაიონის წარმომადგენლებმა. ასპარეზობამ გვიჩვენა ნორჩ კალათბურთელთა მომზადების დონის თვალსაჩინო ზრდა. ეს განსაკუთრებით ითქმის გოგონებზე. თუ გასულ წელს გოგონათა კარგად მომზადებულები გუნდები გამოიყვანეს მხოლოდ კიროვისა და ორჯონიკიძის რაიონებისა, ამ შეჯიბრებაზე ყველა რაიონის კალათბურთელ გოგონათა კოლექტივი მომზადებული წარსდგა.  
თამაშად შეიძლება ითქვას, რომ დარჩიას, დ. აბუაშვილის, გ. გრიგორიანის, ი. ჩხეიძის, ც. ბალანჩიძის, გ. ვოლნისისა და სხვათა სხიით საიმედო ცვლა იზრდება.  
ქების ლირსნი არიან მწვრთნელები შ. დიასამიძე (ორჯონიკიძის რაიონი), გ. ბაბახანიძე (კიროვის რაიონი), ს. ოვანნიშვილი (26 კომისრის რაიონი) და მ. კეკელიძე (ლენინის რაიონი), რომელთა გუნდები საკმაოდ

დაუფლებელი სპორტის ამ მიმზიდველი სახის ტექნიკისა და ტაქტიკის.  
ასპარეზობის დიდ ნაკად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მთელი რიგი მსაჯეები (ე. აბიშვილი, გ. გუგუშვილი და სხვ.) იძულებული იყვნენ ზედიზედ რამდენიმე თამაშში ემსაჯათ. ეს არანორმალური მდგომარეობა გამოწვეული იყო მსაჯეების არასაკმარის რაოდენობით. საწყვედურის ლირსია ამ მხრივ ქალაქის მსაჯეთა კოლეჯის პრეზიდიუმში, რომელმაც ვერ უზრუნველყო გათამაშება კვალიფიციურ მსაჯეთა საკმარის რიცხვით. სხვა მხრივ, მსაჯეთა კოლეჯი (მთავარი მსაჯე ე. აბიშვილი) ასპარეზობა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა.  
გ. ჯაფარიძე, საქვეყნო კატეგორიის მსაჯე.

დასასკოლო და საქალაქო შეჯიბრებები.  
ქალაქის მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა საქალაქო ასპარეზობა ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 50-მდე მოსწავლე.  
სტალინის 1952 წლის ჩემპონები 17-18 წლის ჭაბუკთა შორის გახდნენ გ. გელაძე (ესპადრონი) და ა. შერვაშიანი (რაბირა), 15-16 წლის ასაკის ჭაბუკთა შორის — ლ. ვასილი. გოგონათა შორის რაპირით ბრძოლაში გაიმარჯვეს ვ. სავაგევამ (17-18 წლის ასაკი) და ზ. კახიძემ (15-16 წლის ასაკი).  
5-6 იანვარს გაიმართა სტალინის

## ლია ჩინგუა, საუარიაო ბილიჯა, ჭალრაქის დაუბთან

სოხუმი. (ჩვენი საკ. კორ.) ქალაქის მოსწავლეებმა მრავალი საინტერესო სპორტული ასპარეზობა ჩაატარეს საზამთრო არდადეგების დღეებში. გაიმართა შეჯიბრება კრიკში, — ლია ჩინგუა გამოვიდა 34 ნორჩი მოკრივე.  
დიდი ინტერესი გამოიწვია ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტთა პირადმა პირველობამ მაგიდის ჩოგბურთში. მიუწყო შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, ქადრაკში და სხვ.

სტალინირი. (ჩვენი კორ.) მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების პერიოდში აქ მიუწყო სხვადასხვა ში

სპორტსკოლისა და თბილისის ლ. ბ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახსლის კალათბურთელთა ამხანაგური შეხვედრები.  
მატჩი სტალინის მოზარდთა სპორტსკოლის კალათბურთის I გუნდსა და სტუმრებს შორის დამთავრდა ადგილობრივ სპორტსმენთა გამარჯვებით.  
შეხვედრა ქალაქის სპორტსკოლის კალათბურთელთა II გუნდსა და თბილისელთა შორის დამთავრდა ანგარიშით 49:42 სტუმრების სასარგებლოდ.  
ქალაქის საშუალო სკოლებში მოეწყო შეჯიბრებები ქადრაკში, შაშხი და სხვ.

## თბილისელები ვროცდავში

გშქლმნი თბილისის „დინამოს“ ფსხპრთიელებს  
— გაიმარჯვესო მშვიდობა ომზე ვროცდავში ჰქუხდნენ თბილისელებიც.  
ვროცდავს სიკვდილის ქარ-წვიმის დროსაც ჩვენ სიხარულის დღეს ვუთენებდით, ახლაც სალხენად მოსულან ვროცდავს ჩვენი თბილისის ფეხბურთელები.  
მტრედისფერ ცაში შეფრინდა მტრედი, ოდერის პირას ბურთი აფრინდა, და სტალინის მღელვარე მკერდი ხშირ-ხშირმა სუნთქვამ ლამის დაფლითა.  
ომში დაღუპულ თბილისელ ვაჟთაც, აქვე რომ წვანან ხმალ-აბჯრინანად, ალბათ ჩაენმათ ქართული „გაშა“ და საფლავებში გააუჩრიალათ.  
თავს დასდგომია შუქი სტალინის, მშვიდობის ღიმილად გადმოფრქვეული და ხარობს გული — ძმურ სიყვარულის ლამაზ ბადეში გამოხვეული.  
— თქვენც დაგვეწვიეთ, როცა გენებოთ, თბილისშიც შევხვდეთ, ვროცდავებო!

### ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში „ნაუსკა“

1949 წელს უკრაინისა და საქართველოს „ნაუსკის“ რესპუბლიკური საბჭოებს შორის დადებული იქნა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა მასობრივი სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას, ძირითადი კოლექტივის რიცხვის ზრდასა და მათ ორგანიზაციულ განვითარებას, წევრთა რაოდენობის მომატებას, საზოგადოებრივი კადრების, მათი ნიშნისა და თანრიგების დროულად და ხარისხიანად მომზადებას, სპორტსაზოგადოებათა ქსელის გაფართოებას და სხვ.

4 წლის წინათ დადებული ხელშეკრულება ტრადიციულ იქცა და მას შემდეგ ორი მომხრე რესპუბლიკის „ნაუსკის“ რესპუბლიკური საბჭოები ყოველ წელს აჯამებენ ჩატარებული მუშაობის შედეგებს, ანახლებენ ხელშეკრულებას, კისრულობენ გავრდილ ვალდებულებებს.

სოციალისტების ვალდებულებების გახორციელების მხრივ საქართველოს „ნაუსკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ნაყოფიერი მუშაობა გახწია. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს საზოგადოების სპორტმუშაობა ვასული წლის საქართველოში.

„ნაუსკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობებზე საქართველოს გუნდებმა დაისაკუთრეს საერთო პირველი ადგილები ჩოგბურთში, კლასიკური კილობაში, ტანვარჯიშში, აკრობატიაში; მეორე ადგილი მოიპოვა კალათბურთის ქალთა კოლექტივმა, ხოლო მესამე — შტანგისტებმა.

1952 წელს განზარბულია ჩატარდეს სამატჩო შეხვედრები უკრაინისა და საქართველოს „ნაუსკის“ ნაკრებ გუნდებს შორის ტანვარჯიშსა და კლასიკურ კილობაში.

#### „იხსრად“

მთი ნიშნისა და თანრიგის სპორტსმენების მომზადების მიზნით „იხსრად“ ჩატარა ძირითადი კოლექტივების ფიზკულტურული შეჯიბრება ყუმბარის ტყორცისა და კროსში 500 და 1.000 მეტრზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს პუშკინისა და გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლების, საფინანსო-საკრედიტო, მუსიკალური და ტოპოგრაფიული ტექნიკუმების, კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის გუნდებმა და ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის ცალკეულმა სპორტსმენებმა.

შეჯიბრებაში მონაწილე 300 კაციდან მთი კომპლექსის ნორმატივის შედეგი აჩვენა 108 კაცმა, მთი შორის 62-მა შეასრულა სათანო მოთხოვნა.

ძირითად კოლექტივთა შორის I გჯუფში პირველ ადგილზე გავიდა საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის გუნდი. II გჯუფში გამარჯვება წილად ხვდათ მუსიკალური ტექნიკუმის წარმომადგენლებს.

გამართა აგრეთვე „იხსრად“ საკლასიფიკაციო შეჯიბრება ქართულ კილობაში, რომელშიც მონაწილეობდა 31 კაცი. ამათგან თანრიგი ამიღალა 9 სპორტსმენმა.

საკმაო სპორტული მომზადება გამოამყვანეს და თავიანთ წინით კატეგორიებში გაიმარჯვეს: დ. მსუქინაშვილი (საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი), შ. შავლობოვა (ფიზკულტურის ტექნიკუმი), გ. იახუბაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ნ. ბაბუციანი (ტოპოგრაფიული ტექნიკუმი), ნ. კელიძე (ფიზკულტურის ტექნიკუმი) და ვ. ბათელიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

წარმატებას მიადრეხ „იხსრად“ შტანგისტებმა საქართველოს პროფსაბჭოების პირველობაზე. მათ მოიპოვეს პირველი ადგილი.



ქართველი კოლმურე ცენოსნები.

ფოტოგრაფი ა. ხალიძისა.

## ბორჯომის რაიონში სუსვად იბრძვიან უიზიკური კულტურის განვითარებისათვის

1951 წლის 30 დეკემბერს ვაზეთი „კომუნისტი“ თავის მოწინავე სტატიაში წერდა: „ზამთრის სასპორტო სეზონის წარმატებით ჩატარება საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების დიდი საქმეა. ისინი ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგინონ მასობრივ-სასპორტო მუშაობას, სპორტით დაინტერესონ და ფიზკულტურულ კოლექტივებში მოიზილონ მთელი მოსწავლე, მუშა და კოლმურე ახალგაზრდობა“...

სამწუხაროდ, ამ კეშმარტებს იყენებენ ბორჯომის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციები და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე ამხ. ნ. ორჯონიძე). რაიონის ახალგაზრდობა ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი დიდ დაინტერესებას იჩენს, მაგრამ ფიზკულტურის რაიონული კომიტეტისა და კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკაყოფილებელი მუშაობისა და ხელმძღვანელობის შედეგად რაიონში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობა დაბალ დონეზე დგას.

ქალაქში არის მხოლოდ ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. რაიონში არ არის არც ერთი კეთილმოწყობილი, ნორმალური მეცანიფიზისათვის გაიზარა დევი სპორტული დარბაზი, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით. ისეთ საწარმოო ობიექტებს, როგორცაა შუშის ქარხანა, რკინიგზის კვანძი, მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, სავეჯო ფაბრიკა, აგრეთვე გაყვამა და ქალთა საშუალო სკოლები, რკინიგზის ქალთა მე-15 საშუალო სკოლა და სხვ., სპორტული დარბაზი არ სრულდება. არ გააჩნიათ, ანდა აქვთ მოწყობილი, სამეცადინოდ ყოველდღე უვარგისი დარბაზი.

შუშის ქარხნის ადმინისტრაციამ 17.000 მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინა, მაგრამ ვერ მოახერხა დარბაზის დროულად შეკეთება, რის გამოც აქ ფაქტობრივად არც ერთი სპორტული სექცია არ მუშაობს.

ასეთივე, ოდნავ „შებრუნებული“ მდგომარეობაა რკინიგზის კვანძზე: აქ არის შეკეთებული სპორტდარბაზი, მაგრამ არ არის ინვენტარი. ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო

კომიტეტი და „ლოკომოტივის“ რესპუბლიკური საბჭო რკინიგზელ ფიზკულტურელებს მხოლოდ დაპირებებით ანუ ვაგებენ. სად არის მათ მიერ „გამოყოფილი“ 35.000 მანეთი? რატომ ვერ მიადრეხ ბორჯომადე ამ თანხამ? ამაში ბრალი მიუძღვით აგრეთვე კვანძის კომკავშირულ ორგანიზაციას და ფიზკულტურის საბჭოს, რომლებმაც ვერ შეძლეს საქმის ბოლომდე მიყვანა. ამ ორგანიზაციებს არც მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, სავეჯო ფაბრიკა და საშუალო სკოლები ჩამოჩეხება.

ქალაქის არც ერთ წარმოებაში არ მუშაობს სპორტული სექცია, ან კი სად იმუშავებს?

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ უწევს ძირითად საბჭოებს. მაგალითად, რა მიზეზით არ მიაღწია „კომმუნისტის“ რაიონულმა საბჭომ საზოგადოების 1950 წლის ჩემპიონი სიმძიმეების აწევაში ბ. გოგოლაძე 1951 წლის ჩემპიონატზე; ან რამ შეუშალა ხელს „კოლმურე-ნი“ რაიონულ საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. გ. ამილახვარი) ძირითადი საბჭოს თავმჯდომარეების, ფიზორგების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების გეგმის შესრულებაში?

ერთი სენი სპორტ ბორჯომში: აქ ნამდვილად სპორტის მხოლოდ ორ სახეს მისდევან — ზაფხულში ფეხბურთს, ზამთარში — სათხილამურო სპორტს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რაიონში არ ჩატარებულა შეჯიბრება რაიონის პირველობაზე კალათბურთში, ფრენბურთში, კრივში, ძალოსნობაში, კადრაქში, კილობის არც ერთ სახეში, ცურვაში და სხვ. (ჭიდაობისა და კრივის სექციები საერთოდ არც კი არსებობენ).

რაიონს არა ჰყავს თითო გუნდიც კი სპორტის ისეთ სახეებში, როგორც არის ფრენბურთი, კალათბურთი, კილობა და სხვ., გუნდები, რომლებიც შეძლებენ რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე აბს მიღებას.

რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები თანრიგისა და მთი ნიშნისათვის მომზადების გეგმებს ძირითად

სათხილამურო სპორტის ხარჯზე ასრულებენ. რაიონს არც ერთი სპორტსმენი არა ჰყავს (გარდა მეთხილამურებისა), რომელსაც შესწევდეს უნარი რესპუბლიკის მასშტაბით ასპარეზობისა.

სათხილამურო სპორტიც ცალმხრივად არის აქ განვითარებული. განა მართო ბაკურიაშვილი სათხილამურო სპორტის განვითარების პირობები? რატომ არაა კულტივირებული სპორტის ეს სახე რაიონის სოფლებში ყვებისში, რველში, ჭობისხევი, დვირში, ტაძისში და სხვაგან? აქ ახალგაზრდობის 90 პროცენტი თხილამურზე არც კი მდგარა.

რაიონში ძალზე მცირე ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ფიზკულტურელთა გამოვლინებასა და აღზრდას, საზოგადოებრივი კადრების მომზადებას, ურომლისოდაც შეუძლებელია მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების აღმავლობა.

საქართველოს ალკ ბორჯომის რაიონულმა კომიტეტმა დროულად განიხილა საკითხი ზამთრის სპორტული სეზონის წარმტებობა ჩატარებისათვის, მაგრამ მხოლოდ დადგინების გამოტანა და პრაქტიკული ღონისძიებების დასახვა როდია საკმარისი. საჭიროა მათი გახორციელება, საჭიროა მეტი კონტროლი და ქმედითი დახმარება პირველი ორგანიზაციებისადმი ამ ვარაუდით, რომ ბორჯომის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციებმა პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები ფიზიკური კულტურის დარგში.

ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა მტკიცე კონტაქტი უნდა დამყაროს ძირითად ორგანიზაციებთან და მიადრეხოს არსებული სერიოზული ნაკლოვანებების მოკლე დროში გამოსწორებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ლოკომოტივის“, „პიშჩევიკის“, „სტროიტელისა“ და სხვა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოები თითქმის არავითარ დახმარებას არ უწყევენ ბორჯომში არსებულ სპორტულ კოლექტივებს.

#### ო. გულაშვილი

ბორჯომი.

### გამოქვეყნებული წერილების კვადრატად

#### „ვის მიუძღვის ბრალი?“

ამ სათაურით ვაზეთ „ლელოს“ 1952 წლის მე-2 ნომერში მოთავსებული წერილი ეხებოდა სტალინის მოზარდთა სპორტსკოლის მძღვოსობის განყოფილების უმოქმედობას. როგორც სტალინის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. გაზაფი ვეჯცობინებს, აღნიშნული წერილი განხილულ იქნა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტის სხდომაზე. მასალაში

მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. მიღებულია გადამკრედი ღონისძიებები, რომელთა შედეგად ქალაქის მოზარდთა სპორტული სკოლის მძღვოსობის სექცია შეუდგა მუშაობას.

### ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში „ნაუსკის“

ვახულ წელს თანრიგისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების დარგში ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა „ბურვესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ.

გადაქარბებითაა შესრულებული თანრიგისათვის მომზადების დავალება. I თანრიგზე გვევლით მოცემული 8 სპორტსმენის ნაცვლად მომზადებულია 25, II თანრიგზე 56-ის ნაცვლად — 108, III თანრიგზე 344-ის ნაცვლად — 520.

დიდი ვადაქარბებით იქნა განდღებული საზოგადოებრივი კადრების მომზადების დავალება. სპორტსაზოგადოებას ვახულ წელს შეემატა ძირითადი კოლექტივის 62 თავმჯდომარე, 84 ფიზორგი, 243 ინსტრუქტორი და 68 მსაჯი სპორტის სხვადასხვა სახეში.

აქტიურად მუშაობდნენ ფიზკულტურის ძირითადი კოლექტივები. მათ შორის აღხანიწნავია თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმის, თბილისის კომპერატული ტექნიკუმის, სხუთების კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის, ცეკავშირის სამმართველოს, თბილვაქრობის ძირითადი საბჭოები.

#### „პრასნოი წანაში“

„პრასნოი წანაში“ რესპუბლიკური საბჭო დიდ ყურადღებას ანიჭებს თავის სისტემაში შემაჯავლო ძირითადი კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობისათვის საზოგადოებრივი კადრების მომზადებას.

თბილისის ხართავ-სატიკოტაუო კომბინატში მოეწყო საზოგადოებრივი კადრების მომზადებელი სემინარი, სადაც კომბინატის წინამძღვრის თბილისის ფიზკულტურული მომზადებას ვადის ფიზორგის, მსაჯისა და ინსტრუქტორის კვალიფიკაციის მისაღებად.

\*\*\*

ამას წინათ მოეწყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით თბილისი — მცხეთა — შიო მღვიმე — ძეგვი — მცხეთა — თბილისი.

მონაწილეებს მოუხდათ ძლიერ დახერილი ტრასის გადალახვა, სადაც თოვლი და ტალახი საგრძნობლად აძინებდა ხვლას. მიუხედავად ამისა, მონაწილეებმა შეუფერხებლად გაიარეს გზა.

უკან დაბრუნებისას მოლაშქრეები მთებში წააწყდნენ მგლებს მიერ ფარას მოწყვეტილ 15 ცხვარს, რომლებიც ჩააბარეს ძეგვის კოლმურეში.

ლაშქრობაში მონაწილე ახალბედა ტურისტები ჩაებნენ ტურისტული სექციის მუშაობაში.

#### „ტრუდი“

სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ მოაწყო 36 ტურისტის ლაშქრობა მეტად ხინტერსო მარშრუტით: თბილისი — ვაზიანი — უჯარმა — ხაცხენი — თბილისი. ტრასის მეტი ნაწილი (საერთო ხიგრძე 96 კილომეტრი) მიჰყვებოდა სამგორის არხს, რომელიც მოლაშქრეებმა დიდი ყურადღებით დაათვალიერეს. გარდა ამისა, მათ ინახულეს სამგორის ველზე ახლად დასახლებული სოფლები.

ლაშქრობაში მონაწილე თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, ავტოსარემონტო და ჩამომსხმელ-მექანიკური ქარხნების სპორტსმენებმა მიიღეს „სპრ კავშირის ტურისტის“ ნიშანი.

\*\*\*

დაიწყო „ტრუდის“ საქალაქო ჩემპიონატი ქადრაქში, რომელშიც მონაწილეობს 8 ორგანიზაციის 14 მოქალაქე.



### საკავშირო სათხილამურო კროსი

ერთი კვირის შემდეგ — 23 იანვარს იწყება საკავშირო სათხილამურო კროსი. კროსში მონაწილეობის მიღება შეუძლია 14 წლისა და მეტი ასაკის ყველა მსურველს. ასპარეზობა გაიმართება ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი დაიწყება 23 იანვარს და გასტანს 13 თებერვლამდე. ამ ხნის განმავლობაში სათხილამურო კროსები მოეწყობა წარმოება-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სახელისონი სასწავლებლებში, საშუალო და უმაღლეს სკოლებში, აგრეთვე სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო სასწავლებლებში.

კროსის მეორე ეტაპი დაიწყება 13 თებერვალს და გასტანს 23 თებერვლამდე. ამ ხნის განმავლობაში ფიზკულტურული კოლექტივების მეთხილამურეთა გუნდები იბრძობენ ქალაქებისა და რაიონების პირველობისათვის.

ასპარეზობა იქნება პირად-გუნდური. პირადი პირველობა გათამაშდება ჯერ კოლექტივებში, შემდეგ საზოგადოებებში, რაიონსა და ქალაქში. პირველი ადგილი მიეკუთვნება იმას, ვინც ასპარეზობაში უკეთეს დროს აჩვენებს. უძლიერეს მეთხილამურს მიენიჭება „1952 წლის სათხილამურო კროსში გამარჯვებულის“ წოდება.

როგორც კროსის ცალკეული მონაწილეები, ისე გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან პროფკავშირების, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების საპატიო სიგელითა და დიპლომებით.

გუნდური პირველობაში გამარჯვებული კოლექტივების გამოსამკლავებლად მხედველობაში მიიღება მონაწილეთა მიერ ტექნიკური შედეგებისათვის მიღებული ქულები. ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გამარჯვება მიენიჭება იმ კოლექტივს, რომლის წევრებს მეტი სათხილამურო შედეგი ექნებათ ნაჩვენებში.

გუნდური შედეგების შეფასება იწარმოებს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ვაყები და ქაბუყები (16-18 წლის)

19 კილომეტრზე პირველი თანრიგის შედეგის შესრულებისათვის (41:00 და უკეთესი) მიიღებენ 10 ქულას, მეორე თანრიგის შედეგისათვის (41:01-დან 46:00-მდე) — 7 ქულას, მესამე თანრიგის შედეგისათვის (46:01-დან 50:00-მდე) — 5 ქულას; ქაბუყთა თანრიგის შედეგისათვის (50:01-დან 54:00-მდე) — 4 ქულას; 54:01-დან 56:00-მდე — 3 ქულას; 56:01-დან 65:00-მდე — 2 ქულას.

ვაყებს 18 კილომეტრზე პირველი თანრიგის შედეგისათვის (1:17:00 და უკეთესი) მიენიჭებათ 10 ქულა, მეორე თანრიგის შედეგისათვის (1:17:01-დან 1:25:00-მდე) — 7 ქულა, მესამე თანრიგის შედეგისათვის (1:25:01-დან 1:34:00-მდე) — 5 ქულას; ქაბუყთა თანრიგისათვის (1:34:01-დან 1:46:00-მდე) — 4 ქულას, 1:46:01-დან 1:50:00-მდე — 3 ქულას, 1:50:01-დან 2 საათამდე — 2 ქულას.

ქალები და გოგონები 5 კილომეტრზე პირველი თანრიგის შედეგისათვის (25:30 და უკეთესი) მიიღებენ 10 ქულას, მეორე თანრიგის შედეგისათვის (25:31-დან 27:00-მდე) — 7 ქულას, მესამე თანრიგის შედეგისათვის (27:01-დან 30:00-მდე) — 5 ქულას; გოგონათა თანრიგისათვის (30:01-დან 35:00-მდე) — 5 ქულას, 35:01-დან 38:00-მდე — 3 ქულას, 38:01-დან 40:00-მდე — 2 ქულას.

გოგონები 3 კილომეტრზე მესამე თანრიგის შედეგისათვის (17:01 და უკეთესი) მიიღებენ 5 ქულას, გოგონათა თანრიგისათვის (17:01-დან 19:00-მდე) — 4 ქულას, 19:01-დან 21:00-მდე — 3 ქულას, 21:01-დან 23:00-მდე — 2 ქულას.

ქაბუყები (14-15 წლის), რომლებიც 3-კილომეტრიან დისტანციაზე აჩვენებენ 16:00 წუთს და უკეთეს შედეგს — მიიღებენ 5 ქულას, 16:01-დან 18:00-მდე — 4 ქულას, 18:01-დან 20:00-მდე — 3 ქულას, 20:01-დან 22:00-მდე — 2 ქულას.

გოგონები (14-15 წლის), რომლებიც 2-კილომეტრიან დისტანციაზე აჩვენებენ 13:00 წუთს ან უკეთეს შედეგს — მიიღებენ 5 ქულას, 13:01-დან 14:00-მდე — 4 ქულას, 14:01-დან 15:00-მდე — 3 ქულას, 15:01-დან 16:00-მდე — 2 ქულას.

### განხილვებით ვაგზარებით

ახალციხის რაიონის მეთხილამურეები, რომლებიც პირველი თორის მოსვლისთანავე შეუდგნენ საწვრთნელ მეცადინეობას, გაცხოველებით ემზადებიან პროფკავშირული კომკავშირული საკავშირო მასობრივი კროსისათვის.

მოსწავლეთა საზამთრო არადღეველის პერიოდში ახალციხის მე-3 საშუალო სკოლის ფიზკულტურულ ჯგუფმა მოაწიეს სათხილამურო გადასვლა საკმაოდ ძნელი მარშრუტით: ახალციხე-აბასთუმანი. ლაშქრობა მოახდინეს აგრეთვე მე-2 სკოლის ნორჩმა მეთხილამურეებმა.

მომავალი საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის მონდობებით ემზადებიან სოფ. წყალთბილის კოლმე-

ურნობისა და სკოლის მეთხილამურეები. ვარდა პროფკავშირული-კომკავშირული კროსისა ახალციხეში მოეწყობა ქალაქისა და რაიონის მეთხილამურეთა პირველობა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში სათხილამურო სპორტის შემდგომ განვითარებას ძლიერ ამუხრულებს საჭირო ინვენტარის უქონლობა. ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა და ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საჩქაროდ უნდა მოაქციონ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება.

**3. მისხიმი, ახალციხის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

## სხვადასხვა დემონსტრაციის კვაყნებში

### 4. ბულგარეთის სპორტული ხელოვნება

მას შემდეგ, რაც ბულგარეთი გამოცხადებულ იქნა სახალხო რესპუბლიკად, გაიზარდა 5 წელი და 4 თვე. ამ მოკლე ხნის მანძილზე ბულგარეთში გახორციელებულ იქნა არსებითი სოციალური და ეკონომიური გარდაქმნები. ბულგარეთის მშრომლები, რომლებიც ფაშისტური მონობის უღელსაგან თავიანთ გათავისუფლებას უძალიან დიდ საბჭოთა კავშირს, ხალხთა ბელადს ამანავ სტალინს, კომუნისტური პარტიისა და სახალხო თავბრუსხვევით ხელმძღვანელობით ქმნიან ახალ, სასიხარულო ცხოვრებას, აგებენ სოციალიზმს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბულგარეთის სპორტულ ცხოვრებაშიც. ფიზკულტურა და სპორტი აქ ხალხს კუთვნილებად იქცა.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა შეუენულეულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი. 1948 წლის 26 იანვარს ბულგარეთის დიდმა სახალხო კრებამ მიიღო კანონი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გზებისა და ბულგარული სპორტული ორგანიზაციების სისტემაში დემოკრატიულ გარდაქმნათა შესახებ. სახალხო მთავრობამ, თითქმის რა სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელობა, მიიღო მთელი რაიონი სერიოზული ღონისძიებები, რომლებმაც უზრუნველყვეს ბულგარეთის ფიზკულტურული მოძრაობის ზრდა-განმტკიცება და შემდგომი დემოკრატიზაცია. ახლგაზრდა რესპუბლიკაში ფიზკულტურის განვითარების ისტორიაში სერიოზული ადგილი უკავია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელიც ვადაიქცა ფიზკულტურული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამად.

ბულგარული სპორტის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი კომიტეტის შექმნა, საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ მშთ კომპლექსის დაწესებამ, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემოღებამ, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების მოსამზადებლად მრავალრიცხოვანი კურსებისა და სკოლების შექმნამ, მინისტრთა საბჭოს მიერ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სხელმწიფიფი გეგმის დამტკიცებამ.

#### ბრძოლა მასობრივობისათვის

სპორტი მტკიცედ ყოფიდა ბულგარეთის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში. რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობა ნამდვილად მასობრივი ხასიათს ღებულობს. ახლა სპორტულ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩაბმული მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, მოსწავლეები, სახალხო არმიის მებრძოლები. სპორტით მომეცადინეთა რიცხვი 800 ათას კაცს უჭრის. რესპუბლიკის ჰეყავს 3.000-მდე მშთ ნიშნოსანი.

ფართო გაქანება ჰპოვა ფიზკულტურულმა მუშაობამ სოფლად. შექმნილია ასობით ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც სოფლის ახალგაზრდობა იყავებს სხულს, იმდღეს სპორტული მომზადების დონეს. გასულ წელს, სსრ კავშირის მაგალითის მიხედვით, ბულგარეთში პირველად ჩატარდა სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკადები.

ქარხნებისა და ფაბრიკების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების ათასობით ქაბუყი და ქალიშვილი ადგილობრივი სახალხო საბჭოებისა და მასობრივი ორგანიზაციების დახმარებით თავისუფალ საათებში აგებენ სპორტულ ბაზებს.

სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მშენებლობათა დასაფინანსებლად სახალხო მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად დიდი თანხები შეეყავს. სოფიაში აიგო დიდი საზაფხულო საცურაო აუზი, გაიხსნა ვ. ლენინის სახელობის სახელმწიფო ფიზკულტურული სკოლის ახალი შენობა. ქ. სოფიაში „თავისუფლების პარკის“ ტერიტორიაზე გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს 50 ათასი მაყურებლისათვის განკუთვნილი სტადიონის მშენებლობა. ბულ-

გარეთის დედაქალაქის ახალი სტადიონი, რომელსაც აგებენ ლენინგრადის კროვის სახელობის სტადიონის ნიშნის მიხედვით, ყველაზე დიდი იქნება მთელს ბალკანეთში. მთავრდება დიდი სტადიონების მშენებლობა პლოვდივში, სტანკეში, დიმიტროვში, პლევენში.

სპორტის მასობრივობა, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესება, მშთ ნიშნოსანთა რიცხვის ზრდა გელს უწყობს ბულგარელი სპორტსმენების მიღწევათა აღმავლობას.

#### მკლარსათა წარმატებები

განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს მძლეოსნებმა. მათ უკანასკნელი წლების მანძილზე გააუმჯობესეს თითქმის ყველა ეროვნული რეკორდი, რომელთაგან ბევრი 10-16 წლის მანძილზე უცვლელი იყო.

ბულგარეთის მძლეოსანთა რიცხვი უკანასკნელ წლებში შეივსო მუშათა წრიდან გამოსული ნიჭიერი სპორტსმენებით. მაგალითად, მემსტე პეტრე სპასოვს ეკუთვნის რესპუბლიკური რეკორდები 5 და 10 ათას მეტრზე რბენაში. 3. სპასოვი შარშან თავისი ქვეყნის ნაყრები გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობდა რუმინეთის მძლეოსანთა პირველობაში, სადაც მიწვეული იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მუშათა სპორტული ფედერაციის სპორტსმენები. მამინ, ბუქარესტში, სპასოვმა 5.000 მეტრზე რბენაში მესამე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენების ვ. კაზანცევისა და ნ. პოპოვის შემდეგ.

სახელი გაითქვა აგრეთვე გ. დიმიტროვის სახელობის შახტის მომუშავე მარია ნეკოვა, რომელმაც დაამყარა ბულგარეთის ახალი რეკორდები ბირთვის კერაში, ბადროს ტყორცნაში, სიმაღლეზე და სიგრძეზე ტომებში.

მძლეოსნების ბევრი ეროვნული რეკორდი წარმოადგენს საკმაოდ მაღალი კლასის მიღწევას. მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში ცნობილია სპრინტერმა ანგელ კოლევა უჩვენა შესანიშნავი შედეგი — 10,5 წამი. მასვე ეკუთვნის რესპუბლიკური რეკორდი 200 მეტრზე რბენაში (სოსანიშნავია, რომ ა. კოლევა ამ დისტანციაზე რბენაში სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობაში დაიკავა მე-2 ადგილი, ხოლო რუმინეთის პირველობაში პირველ ადგილზე გამოსულ გ. სუხარევის ჩამორჩა მხოლოდ 0,5 წამით). ნიკოლა დავოროვმა კარგი შედეგი — 14,47 მეტრი — უჩვენა სამჯერად ტომამში, საშა ანტონოვამ 400 მეტრი გაიბრინა 59,9 წამში, ხოლო 800 მეტრზე რბენაში უჩვენა 2:20,0.

#### სპორტული თამაშების ოსტატები

დაუღალავად იმდღებენ თავიანთი თამაშის კლასს ბულგარელი ფეხბურთელები. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ ფეხბურთის საბჭოთა სკოლის მიერ შემუშავებულ ტექნიკურ-ტაქტიკურ ხერხებს.

ბულგარეთის საფეხბურთო სეზონი ერთ-ერთ დიდ მოვლენას წარმოადგენს საბჭოთა არმიის თახის ტრადიციული გათამაშება რესპუბლიკის თითქმის ყველა ფეხბურთის გუნდი ყოველწლიურად მონაწილეობს დაბაბულ ბოძოლებში ამ ჯილდოსათვის, რომელიც განასახიერებს ბულგარელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს საბჭოთა ხალხისადმი, ვამთავისუფლებელი საბჭოთა არმიისადმი.

ყოველწლიურად იმართება რესპუბლიკის ჩემპიონატი. 1950 წლის სეზონში, წინა წლებისაგან განსხვავებით, პირველობა ჩატარდა იმავე ვადებში, რაც საბჭოთა კავშირში. ამავე წლიდან სრულფასოვანი რეზერვების მომზადების მიზნით პირველი ჯგუფის ყველა გუნდში შეიქმნა დუბლიორთა შემადგენლობა, რომლებიც ერთმანეთს ეცლებიან მათთვის დარწმუნებულ სპეციალურ პრისს.

გასული წლის პირველობის მონაწილეები, ისე როგორც ჩვენში, დაყოფილნი იყვნენ ორ კლასად. „ს“ კლასში ჩემპიონის ტიტულისათვის

იბრძოდა 12 გუნდი. საპატიო წოდება ამჯერად მოიპოვეს ცდნეს (სახალხო არმიის ცენტრალური სახლი) ფეხბურთელებმა, რომლებმაც საკმაოდ უკან ჩამოიტოვეს ომასშედგომი წლების ოთხჯგის ჩემპიონი—სოფლის „დინამო“. „ბ“ ჯგუფიდან „ა“ ჯგუფში გადავიდა ბულგარეთის დედაქალაქის ორი გუნდი—„უდარნიკი“ და „ლოკომოტივი“.

ბულგარეთის ფეხბურთელები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო შეხვედრებში.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს რუს პუბლიკის ფრენბურთელებმა. მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც პრაღაში გაიმართა, ბულგარეთის ნაკრებმა გუნდმა დაიკავა მე-3 ადგილი სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის შემდეგ. მათ ამ შეჯიბრებაში უკან მოიტოვეს რუმინეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიის, ბელგიისა და პოლონეთის გუნდები. 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ქ. სოფიაში გაიმართა, ბულგარელმა ფრენბურთელებმა მე-4 ადგილი დაიკავეს, ხოლო ევროპის 1951 წლის პირველობაში—მე-2 ადგილი.

ფართო განვითარების გზას დაადგა კალათბურთი. რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება შარშან ვაჟთა შორის ერთი ცდნეს გუნდს, ხოლო ქალთა შორის—„ლოკომოტივის“ დიდ წარმატებას მიაღწია რესპუბლიკის კალათბურთელთა ახალგაზრდა მზარდმა კოლექტივმა ევროპის პირველობაში, რომელიც შარშან პარიზში გაიმართა. ბულგარელმა კალათბურთელებმა, რომელთაც კარგი მომზადება გამოამყვადანეს, დამსახურებულად მოიპოვეს მე-4 ადგილი. აღსანიშნავია, რომ ევროპის 1947 წლის პირველობაში ისინი მე-8 ადგილზე იყვნენ.

#### სპორტის ოკუპირებული სახეობები

დიდი პოპულარობით სარგებლობს რესპუბლიკაში საველოსიპედო სპორტი. როგორც წესი, განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ველობარბოელთა შეჯიბრებები ტრეკზე. ბულგარული ველობარბოელები ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. გასული წლის ევლისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველობარბოელებთან შეხვედრის დროს მათ დაამყარეს რამდენიმე ეროვნული რეკორდი. მაღალი კლასი უჩვენეს ბულგარელმა ველობარბოელებმა შარშან სექტემბერში მოსკოვში საბჭოთა სპორტსმენებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში.

ფართო პოპულარობა მოიპოვა აგრეთვე სათხილამურო სპორტმა, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო, რესპუბლიკაში აგებულია ათობით ტანამაღი და სათხილამურო ბაზა. განსაკუთრებული აღმავლობა განიცავდა სპორტის ამ სახემ სოფლად, სადაც ძველად არავითარი პირობები არ არსებობდა მისი განვითარებისათვის. შარშან მეორედ ჩატარდა რესპუბლიკის სოფლის მეთხილამურეთა შეჯიბრება, რომელმაც ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. წარმატებით დააცვენ ბულგარელმა მეთხილამურეებმა თანხილი ქვეყნის სპორტული ღონისძიებებში გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო ასპარეზობაში, სადაც მათ მოიპოვეს ერთი ვერცხლის და რამდენიმე ბრინჯაოს მედალი.

წარმატებით ვითარდება რესპუბლიკაში აგრეთვე საცურაო სპორტი, ტანვარჯიში, კრივი, ჰილბობა, ქაღრაყი, ცხენოსნობა და სპორტის სხვა სახეები.

ბულგარელი ფიზკულტურელები და სპორტსმენები რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ხელისხელაყოფილნი ენერგიულად იბრძვიან თავიანთი ქვეყნის ეროვნული, ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის, სოციალიზმის აგებისათვის.

თავდაღებულ შრომითა და მაღალი სპორტული მღწევრებით მათ თანხილი წვლილი შეეყვეს მშვიდობის დაცვის დიდ საქმეში, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურდვევი მეგობრული კავშირის განმტკიცების საქმეში.

ლ. მდიანნი



ლენინგრადელთა წველი—სპორტის ოსტატები ვ. ფატიმი და ვ. ევტიხოვა —სამართლიანად ითვლება ჩვენს ქვეყანაში უძლიერესად. ამ ახალგაზრდა სპორტსმენებმა ორჯერ მონაწილეობა მიიღეს ჩემპიონის საპატიო წოდება აკრობატიკაში. მათ მიერ ურთულესი აკრობატული ილეთების არაჩვეულებრივად ზუსტი და ფაქიზი შესრულება ყოველთვის იწვევს მაყურებელთა მხურვალე მოწონებას. 10 ქულა ასეთ შეფასებას იმსახურებს უმეტესად ლენინგრადელ ოსტატთა ვარჯიში. სურათში: ვ. ევტიხოვა და ვ. ფატიმი ერთი ვარჯიშის შესრულების დროს.

ფოტო ქ. კრიმსკისა.



# ყოველთაობის, ამხანაგებო!


## ოლიმპიური თამაშების წინ

**I მარჯიში.** ხელების აწევა წინ და ზევით, გადახლართული თითები.



**საწყისი მდგომარეობა:** გაშალეთ ფეხები მხრების სივანეზე, თავი დახარეთ წინ, ხელები დაუშვით ქვევით, თითები გადახლართულია. **თვლაზე 1-2:** ხელების აწევით წინ და ზევით (თითებს ერთმანეთს წინ დაშორებულ) გაიწიქეთ და ჩაისუნთქეთ; **თვლაზე 3-4:** ხელების ქვევით დაშვებით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

**II მარჯიში.** ფეხის თანმიმდევრობითი აწევა წინ.



**საწყისი მდგომარეობა:** ფეხები ერთად, ხელები წელზე (დონიჯი). **თვლაზე 1-2:** ასწიეთ გამართული მარცხენა ფეხი წინ და დაუშვით ქვევით; **თვლაზე 3-4:** შესარულეთ იგივე მოძრაობა მარჯვენა ფეხით. ვარჯიშის შესრულებისას შეგიძლიათ ხელით დაეყრდნეთ სკამის ზურგს, მაგიდის ნაპირს ან სხვა საგანს. ვარჯიშის დროს თანაბრად ისუნთქეთ.

**III მარჯიში:** ზურგზე წოლის ხელებით მუხლის თანმიმდევრობით მიზიდვა მკერდთან.




**საწყისი მდგომარეობა:** დაეყრდენით ხელებით მაგიდას (სკამს ან იატაკს) ისე, რომ თავი, ტანი და ფეხები ერთ სწორ ხაზზე იყოს.

**დღის ვარჯიშების მეორე კომპლექსი**

**საწყისი მდგომარეობა:** დაწეით ზურგზე, გამართული ფეხები შედარებით, გამართული ხელები დააწყეთ თავს უკან, ცოტა მხრებზე უფრო განივად.


**თვლაზე 1-2:** მოხარეთ მარცხენა ფეხი, ხელები შემოხიეთ მუხლს და მიიზიდეთ იგი მკერდთან, ამოისუნთქეთ; **თვლაზე 3-4:** ფეხის გამართვით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ჩაისუნთქეთ.

**IV მარჯიში.** ტანის დახრა წინ ხელების განზე აწევით.



**საწყისი მდგომარეობა:** გაშალეთ ფეხები მხრებზე ცოტა უფრო განივად, ხელები თავისუფლად დაუშვით ქვევით. **თვლაზე 1-2:** დახარეთ ტანი წინ, ერთდროულად ხელები ასწიეთ განზე, ამოისუნთქეთ; **თვლაზე 3-4:** გაიმართეთ, დაუშვით ხელები ქვევით, ჩაისუნთქეთ.


**V მარჯიში.** ხელების მოხრა ბჯენში.



**საწყისი მდგომარეობა:** დაეყრდენით ხელებით მაგიდას (სკამს ან იატაკს) ისე, რომ თავი, ტანი და ფეხები ერთ სწორ ხაზზე იყოს.

**თვლაზე 1-2:** მოხარეთ ხელები, თავი მიაბრუნეთ ვერძულზე და ჩაისუნთქეთ; **თვლაზე 3-4:** გამართეთ ხელები, თავი გაასწორეთ და ამოისუნთქეთ.

**VI მარჯიში.** ტანის ბრუნება ერთი ხელის განზე გამართვით.



**საწყისი მდგომარეობა:** გაშალეთ ფეხები მხრებზე ცოტა უფრო განივად, ხელები მოხარეთ იდაყვებში, ხელის თითები ერთმანეთს ეხებიან მკერდს წინ, ხელის გულები ქვევით, იდაყვები მხრების სიმაღლეზე. **თვლაზე 1:** ტანის მარცხნივ ბრუნებით გამართეთ მარცხენა ხელი განზე (მხრების სიმაღლეზე), ჩაისუნთქეთ; **თვლაზე 2:** დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, მოხარეთ მარცხენა ხელი, ამოისუნთქეთ; **თვლაზე 3-4:** შესარულეთ იგივე მოძრაობა მეორე მხარეს.

**VII მარჯიში.** წახტომები ფეხების განზე გაშლით.



**საწყისი მდგომარეობა:** ფეხები ერთად, დონიჯი. **თვლაზე 1:** ფეხის ცერებზე რბილი წახტომით გაშლით ფეხებს; **თვლაზე 2:** შემდეგი წახტომით შეაერთებთ ფეხებს. ვარჯიშის დროს სუნთქვა თანაბარია.

ბ. მ. — საწყისი მდგომარეობა.

### პირველი უაბრიკის ახალგაზრდობა

ლანჩუთის № 1 ჩაის ფაბრიკის ფიზკულტურის ძირეულმა კოლექტივმა უკანასკნელ ხანებში შესაძლებელად გააუმჯობესა მუშაობა. მუშა ახალგაზრდობის ინიციატივამ სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეში აქტიური მხარდაჭერა და დახმარება პპოვა ფაბრიკის დირექციისა და მუშათა კომიტეტის მხრივ; მოუწყო ფერხბურთის მოედანი, საჭიდაო სარბიელი; ჩამოყალიბდა სპორტული სექციები და გუნდები, შექმნილ იქნა სპორტული ინვენტარი.

სერიოზული მუშაობა ჩატარდა ფაბრიკაში მშთ კომპლექსის ნიშნისათვის მომზადების 1951 წლის გეგმების ვადაზე აღრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ფაბრიკის მრავალი ახალგაზრდა, მათ შორის ელექტროტექნიკოსი მ. ბუგალავა, ზეინკალი კ. ზოიძე, ბრიგადირი ი. ბარამიძე, მძღოლი ა. ბუგალავა და სხვები მშთ II საფეხურის ნიშნის ნები განდენ.

ფაბრიკის ფერხბურთელთა გუნდმა გაიმარჯვა რა ყველა შეხვედრაში, რაიონის ჩემპიონის სახელი დაიხსახურა, ზოლი გუნდის თვითუღმა წევრმა მილო მესამე თანრიგი. ფერხბურთის მოედანზე მიღწეულ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით მოწინავე სპორტსმენებს—სადნობი საამქროს ბრიგადირს

### გ. ებრალიძეს, საერაზე საამქროს ბრიგადირს თ. ეორდანიას, ელექტროტექნიკოს მ. ბუგალავას, მორიგ მონტორებს ლ. ქუთათელაძეს, ტ. წილოსანს, ზეინკალ შ. წილოსანს.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საქარაკო ტურნირი ფაბრიკის პირველობაზე, რომელშიც კარგ შედეგებს მიაღწიეს ბრიგადირმა ა. მიქანაძემ, ტიტესტრმა კ. თავაძემ, ელექტროტექნიკოსმა მ. ბუგალავამ, აგრონომმა გ. რამიშვილმა, მძღოლმა ი. ჩხეიძემ. ტურნირის შედეგად მონაწილემ მოიპოვა თანრიგი.

სისტემატურად მეცადინეობენ ფაბრიკის ფეხბურთელთა და მოჭიდავეთა გუნდები. ფაბრიკის კოლექტივმა გასულ სეზონშიც ისახელა თავი სახელმწიფოს გეგმის გადამტეხვით ჩაბარა 70-მდე ტონა მზა პროდუქტით, მნიშვნელოვან ამაღლა მისი ხარისხი. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ ფაბრიკა წარადგინა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვეები საწარმოს სახელწოდების მისანიჭებლად.

ფაბრიკის ახალგაზრდობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სპორტულ სარბიელზეც ასახელის თავისი კოლექტივი.


**ბ. მახარაძე**  
ლანჩუთი.



### საინფორმაციო პოზიცია

უნგრეთის სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკაში საქარაკო სპორტი დიდი სიყვარულით სარგებლობს. აქ ყოველწლიურად ეწყობა მრავალი ტურნირი, კონკურსი და სხვ. საბჭოთა კავშირის შავალითზე რესპუბლიკაში ფართოდაა გავლილი მუშაობა ბავშვთა შორის.

ამას წინათ, მწვევე ბრძოლით აღინიშნა ქ. ბუდაპეშტის მოსწავლეთა პირველობა ქარაიში. ტურნირის ერთ-ერთ პარტიაში ორმოცისა და ბეტოკის შორის შეიქმნა დიფერენციალური მოყვანილი პოზიცია:



შავებს მეტად მძიმე მდგომარეობა აქვთ. ბეტოკი, რომელიც შავებით თამაშობდა, გონებამახვილურად შეძლო დამარცხების თაველან აცდენა. როგორია ის გაგრძელება, რომლითაც შავებმა პარტია გადაარჩინეს?

### ახალი სექცია

**ფოთი.** ამას წინათ, აქ ჩამოყალიბდა მაგიდის ჩოგბურთის სექცია. მან მიზნად დაისახა სპორტის ამ საინ-

ტერესო სახის ფართო პოპულარიზაცია ქალაქის მშრომელთა შორის.

**ა. ლომანი**